სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
2013 წლის 30 დეკემბერს № GOG/D/CW/1931/028/2013
ხელშეკრულების დანართი

# დამატება №1
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2013 წლის 30 დეკემბერს №GOG/D/CW/1931/028/2013
## ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი „31“ იანვარი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავტოგზალენტეხი 99“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი ამირან ზურაბიანის უფლებამოსილი პირის ბ-ნი იოსებ არჯევანიძის სახით,

ვითვალისწინებთ რა, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 13 იანვრის N27 წერილით წარმოდგენილ გარემოებას, რომელიც შეეხება ზამთრის პერიოდში რთული კლიმატური პირობების (დიდთოვლობა) გამო მარტვილის მუნიციპალიტეტი სატყეო გზის მოწყობა სოფ. გაჭედილში სიგრძით 18.0 კმ სამუშაოთა მიწოდების საერთო ვადის ცვლილებას,

1.შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების „კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.1.1**“; „კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.3**“; „კონტრაქტის ზოგადი პირობები პარაგრაფებში და განისაზღვროს ახალი რედაქციით.“

| | |
|---|---|
| კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.1.1** | სამუშაოს დასრულების საბოლოო ვადა 2014 წლის 01 ივნისი |
| კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.3** | ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2014 წლის 31 დეკემბერი |

2. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელად
3. წინამდებარე დამატება ძალაში შედის მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ვადით გაგრძელებეული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო გადახდის) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან.

წინამდებარე დამატება წარმოადგენს 2013 წლის 30 დეკემბერს № GOG/D/CW/1931/028/2013 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იგი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

„შემსყიდველი“
სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ელგუჯა ხოკრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ავტოგზალენტეხი 99

იოსებ არჯევანიძე
დირექტორის უფლებამოსილი პირი

121-მ-3-201401161247

N 121-მ 16/01/2014

საქართველოს მუნიციპალური განვითარების

ფონდის აღმასრულებელ დირექტორს

ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილს

# მოხსენებითი ბარათი

ბატონო ელგუჯა,

მოგახსენებთ, რომ GOG/D/CW/1931/027/2013, GOG/D/CW/1931/028/2013 ხელშეკრულებების თანახმად, შპს „ავტოგზალენტები 99" ახორციელებს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილსა და სოფელ სალხინოში სატყეო გზის მოწყობის სამუშაოებს.

სამუშაოების დაწყება ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია, რის გამოც წარმოიქმნა კონტრაქტში ვადის ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

**ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები:**

თოვლის უხვი ნალექი , ზვავსაშიშროება, ვიწრო გზაზე მოძრაობა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია. ამავე დროს გზის მოწყობის შემდგომაც შეუძლებელი იქნება ტყის ჭრა და მძიმე ტექნიკის გადაადგილება და დასახული შედეგის მიღწევა. ყოველივეს გათვალისწინებით კონტრაქტორმა ითხოვა სამუშაოების დაწყების ვადის გადაწევა ა/წლის 01 მაისამდე.

გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება არსებულ კონტრაქტში წარმოდგენილი ცვლილების შეტანაზე.

დანართი: მარტვილის გამგეობის წერილი, ოქმი.

დავით შარანგია

სპეციალისტი

აღმ. საქართველოს მონიტორინგის სამს.

საქართველო
მარტვილის მუნიციპალიტეტის
გამგეობა

GEORGIA
THE ADMINISTRATION
OF MARTVILI MUNICIPALITY

ქ. მარტვილი,
თავისუფლების ქ.№10

ტელ: 0(418) 22-00-60,
ელ. ფოსტა: martvilisgamgeoba@Gmail.com

№ 27

„13" 01. 2014 წ.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდის აღმასრულებელ დირექტორის
მოადგილეს ბატონ თეიმურაზ მურღულიას

ბატონო თეიმურაზ,

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი თქვენს მიერ იგეგმება მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილისა და სალხინოს სატყეო უბნებში მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე უხვნალექიანი ამინდებია გთხოვთ, შედეგიანობის ამაღლების მიზნით შესასრულებელი სამუშაოების დაწყება გადაიტანოთ 2014 წლის აპრილ-მაისის თვეში.

პატივისცემით,

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი

მამუკა დანელია

№ 111 15 01 2014 წ.
1